

# მოცვის ბაზრის მონიტორინგი



ანგარიში

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

თბილისი, 2024 წელი

## სარჩევი

შესავალი .....	3
1. ბაზრის ანალიზი.....	3
1.1 პროდუქციული საზღვრები.....	3
1.2 გეოგრაფიული საზღვრები.....	5
1.3 დროითი ჩარჩო.....	5
2. შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება.....	5
2.1. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები.....	6
2.2. შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების გადანაწილება .....	6
2.3 ექსპორტიორი ქვეყნების ანალიზი .....	10
2.4 შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები.....	11
დასკვნა .....	13

## შესავალი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, მოცვის ბაზრის მონიტორინგი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17<sup>2</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ფერმერთა მომართვის საფუძველზე<sup>1</sup> დაიწყო. განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, შესაფასებელ პერიოდს, სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოადგენდა 2020 წლიდან 2024 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით დროის მონაკვეთი.

### 1. ბაზრის ანალიზი

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

#### 1.1 პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექვევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

სააგენტოს პრაქტიკისა და ევროკომისიის გადაწყვეტილების<sup>2</sup> გათვალისწინებით, პროდუქციული საზღვრების დადგენისას ყურადღება გამახვილდება მოცვის ჩანაცვლებადობის ხარისხსა და მის განმასხვავებელუნარიანობაზე სხვა კენკრასთან მიმართებით მომხმარებლისა და მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

**მომხმარებლის თვალსაზრისით პროდუქციული საზღვრების დადგენისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ყველა იმ ფაქტორზე, რაც არსებითია**

<sup>1</sup> 2023 წლის 28 ივნისის N01/2143 წერილი.

<sup>2</sup> United Brands Company and United Brands Contineental BV v Commission of the European Communities. - Chiquita Bananas. - Case 27/76“

მომხმარებლის მიერ არჩევანის გაკეთების პროცესში. სამომხმარებლო *თვისობრივი* კუთხით, მოცვის ყველა სახეობა ზომით, ფერით, ფორმით, გემოთი და კონსისტენციით განსხვავდება სხვა კენკრისაგან. ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფაქტორად ჩაითვლება მოცვის სახეობის სიმრავლე (სახეობები ერთმანეთისგან ხშირად მკვეთრად განსხვავდება), რაც სხვა კენკრისთვის, ძირითად შემთხვევაში, არ არის დამახასიათებელი. ასევე, გასათვალისწინებელია მოცვის *მოხმარების მიზნობრიობაც* - მოცვი სხვა კენკრაზე მეტ ანტიოქსიდანტს შეიცავს და მასში მეტად მაღალი კონცენტრაციით გვხვდება რიგი ვიტამინები. შესაბამისად, ხშირად მომხმარებელი მას სამკურნალო მიზნით იყენებს - იგი ჯანსაღი კვების რაციონის განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება *შედარებითი ფასების დონეს*, მოცვის ფასი ძირითად შემთხვევებში, უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ნებისმიერი კენკრისა და ამ კუთხითაც არ გვაქვს სახეზე ჩანაცვლებადობა. ამასთან, პირიქით თუ ვიმსჯელებთ, ფასის ამგვარი სხვაობის გამო, მომხმარებლის მიერ სხვა კენკრის მოცვით ჩანაცვლება არ იქნება „ნაკლები დანახარჯის“ სტანდარტის დამაკმაყოფილებელი. მაშასადამე, მოცვი შედარებითი ფასების დონის კუთხითაც არ არის სხვა კენკრასთან ჩანაცვლებადი.

**რაც შეეხება პროდუქციული საზღვრების დადგენას მწარმოებლის/მიწოდებლის თვალსაზრისით**, სააგენტო ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად მარტივადაა შესაძლებელი ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორეს წარმოებაზე გადასვლა. უნდა აღინიშნოს, რომ მოცვის მოყვანა და შენახვა მოიცავს იმგვარ სპეციფიკას, რაც შეიძლება სხვა ახალი ჯიშის კენკრისათვის დამახასიათებელი არ იყოს - შეირჩევა ნიადაგი, რომელზეც მოცვის ბაღები უნდა გაშენდეს, რეგულირდება და განისაზღვრება ამ ნიადაგის მჟავიანობა და მიწა მზადდება ორგანული სუბსტრატით. მცენარის მოვლაც ცალკეულად მეტად კომპლექსურია და მოიცავს როგორც მასზე ზემოქმედების, ისე ნიადაგის დრო და დრო გამდიდრების ოპერაციებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარტივია იმ დასკვნის გაკეთება, რომ 1. მწარმოებელი ზემოხსენებული სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მარტივად და სწრაფად ვერ გადავა სხვა კენკრის მოყვანაზე (მაგალითად, ჟოლო დარგვიდან მეორე წელსვე იძლევა მოსავალს, ხოლო მოცვი სრულად მოსავლიანი ხდება დარგვიდან 3-7 წლის განმავლობაში); 2. მწარმოებელი დაბალი დანახარჯით ვერ გადავა მოცვის მოყვანიდან სხვა კენკრაზე (აქ ყურადსაღებია ის ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტია მოცვის მოსავლის მოყვანისთვის - მოცვის სპეციალური ბაღების გაშენება, ნიადაგის მომზადება და მჟავიანობის განსაზღვრა, ნარგავის მიწის 2-3 წლის განმავლობაში განოყიერება და სხვა) .

გამომდინარე იქედან, რომ მოცვის მალფუჭებადობის რისკი სხვა კენკრასთან შედარებით უფრო მაღალია, უნდა განისაზღვროს მიწოდების პერიოდში მოცვის შენახვის ტექნოლოგიის რეგულირება/შენარჩუნება და ჰერმეტიკული ტრანსპორტირება. მაშასადამე, მოცვის ექსპორტით დაკავებული ეკონომიკური აგენტი, ალბათობის მაღალი ხარისხით, მარტივად და მინიმალური დანახარჯით ამ სპეციფიკური გადაზიდვის მეთოდებიდან ვერ გადავა სხვაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში, მოცვის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, სააგენტო მოცვის ბაზარს განიხილავს სხვა

კენკროვანი კულტურებისგან დამოუკიდებლად, მისი დამატებითი ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

## 1.2 გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. იმისათვის, რომ კონკრეტული ტერიტორია ერთიან გეოგრაფიულ ბაზრად ჩაითვალოს, მასზე კონკურენციის მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი პირობები უნდა არსებობდეს და ისინი საკმარისად უნდა განსხვავდებოდნენ სხვა მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული კონკურენციის პირობებისგან.<sup>3</sup>

ბაზარზე არსებული ყველა კატეგორიის მოცვი, რომლის რეალიზაცია ხდება შიდა ბაზარზე ან/და ხორციელდება მისი ექსპორტი, როგორც შეგროვებადი ნედლეული, ხელმისაწვდომია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - ეკონომიკურ აგენტებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გადაადგილონ და გადაიტანონ საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

## 1.3 დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

განსახილველი პროდუქტის მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. მართალია, მოცვის მოსავლის აღება ზაფხულის პერიოდში ხდება, თუმცა მისი რეალიზაცია ბაზარზე მუდმივია ნედლი თუ გაყინული სახით.

## 2. შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურენტული გარემოს შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

---

<sup>3</sup> ხელმისაწვდომია - [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C\\_202401645](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C_202401645) (Notice on the definition of relevant market, აბზაცი 8.)

- ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;
- ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;
- გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;
- დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები;
- ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა.

## 2.1. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები

ქვეყანაში მოყვანილი მოცვის რეალიზაცია მეტწილად დამოკიდებულია საექსპორტო ბაზრებზე. მოსავლის აღებასთან ერთად, ექსპორტიორი კომპანიების მიერ ხდება მისი შესყიდვა შემდგომი ექსპორტის მიზნით. ამასთან, ფერმერთა მომართვაში<sup>4</sup>, რაც თავის მხრივ გახდა მონიტორინგის დაწყების საფუძველი, ყურადღება გამახვილებულია მოცვის ექსპორტსა და იმ კომპანიებზე, რომლებიც დაკავებული არიან მოცვის ექსპორტით. შესაბამისად, ფერმერთა მომართვის გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტოს მიერ კონკურენტული გარემოს შეფასება მოხდა ბაზრის ექსპორტის დონეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს წარმოადგენენ ექსპორტიორი კომპანიები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით<sup>5</sup>.

## 2.2. შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების გადანაწილება

იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ბაზრის მოცულობისა და შესაბამისად, ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების განსაზღვრა, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ბაზრის/ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებებზე.

**2020 წელს** ბაზარზე მოქმედი 23 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 653 ტონა (11 330 508 ლარი) მოცვის ექსპორტი, შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 903 ერთეული, რაც

<sup>4</sup> 2023 წლის 28 ივნისის N01/2143 წერილი.

<sup>5</sup> სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2023 წლის 31 ივლისის წერილი; სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2024 წლის 18 იანვრის წერილი; სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2024 წლის 12 ნოემბრის წერილი.

დაბალკონცენტრირებული<sup>6</sup> ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „მატო ხორში“ - █%. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით;.

**2021 წელს** ბაზარზე მოქმედი 35 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 944.9 ტონა (17 533 294 ლარი) მოცვის ექსპორტი, შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 899 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა ი/მ ზეინაბ შუბლაძე - █%. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით;.

**2022 წელს** ბაზარზე მოქმედი 47 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 1360 ტონა (23 804 148 ლარი) მოცვის ექსპორტი, შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 839 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა ი/მ ზეინაბ შუბლაძე - █%. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით;.

**2023 წელს** ბაზარზე მოქმედი 48 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 3415.4 ტონა (54 067 734 ლარი) მოცვის ექსპორტი, შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1308 ერთეული, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „დემე“ - █%. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით;.


**2024 წელს (იანვარი-ოქტომბერი)** ბაზარზე მოქმედი 52 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 4972 ტონა (78 715 918 ლარი) მოცვის ექსპორტი, შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1256 ერთეული, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია და მხოლოდ 6 ერთეულით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის ინდექსის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „უნიონ ექსპორტი 2024“ - █%. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე

---

<sup>6</sup> შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე. შესაბამისი ბაზარი შეიძლება იყოს - დაბალკონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებული ან მაღალკონცენტრირებული: ა) დაბალკონცენტრირებული -  $HHI < 1250$ ; ბ) ზომიერად კონცენტრირებული -  $1250 < HHI < 2250$ ; გ) მაღალკონცენტრირებული -  $HHI > 2250$ .


ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით.

2021 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მოცვის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა, 2021 წლიდან 2023 წლამდე ეს მატება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო 2024 წელს, მხოლოდ ათი თვის მონაცემებით, მოცვის ექსპორტმა პიკურ მაჩვენებელს მიაღწია. შესაბამისად, ქვეყნიდან ექსპორტირებული მოცვის რაოდენობა მზარდია, მაგალითისთვის, 2020 წელს ექსპორტის საერთო მოცულობამ შეადგინა 653 ტონა, ხოლო 2024 წლის 10 თვის მონაცემებით ამ მაჩვენებელთან შედარებით ფიქსირდება ~ 660%-იანი ზრდა - 4972 ტონა. 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ექსპორტირებული მოცვის რაოდენობა 45.6%-ით აღემატება 2023 წლის 12 თვიან მაჩვენებელს (გრაფიკი 1):




მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ექსპორტზე გატანილი მოცვის ღირებულების (ლარი) ნაწილშიც, კერძოდ, 2024 წელს (10 თვე) 2020 წელთან შედარებით, მოცვის ექსპორტი გაზრდილია 595 %-ით. დადებითი დინამიკა ფიქსირდება ყოველ მომდევნო წელს. მაგალითისთვის, 2020 წელს ექსპორტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 11 330 508 ლარი, ხოლო 2024 წლის 10 თვიან პერიოდში - 78 715 918 ლარი (გრაფიკი 2):






განხორციელებული მონიტორინგით შესაფასებელ პერიოდში (2020-2024 წლები), საერთო ჯამში მოხდა 11 345.3 ტონა მოცვის ექსპორტი, რომლის ღირებულებამაც 185 451 602 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ბაზრის კონცენტრაციის ინდექსსა და მსხვილი კომპანიების წილობრივ გადანაწილებას, 2020-2022 წლებში შესაბამისი ბაზრის ექსპორტის დონე დაბალკონცენტრირებულია, ხოლო 2023-2024 წლებში (იანვარი-ოქტომბერი) - ზომიერად კონცენტრირებული (ინდექსი მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ მაჩვენებელს). ამასთან, შესასწავლ პერიოდში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ბაზარზე მოქმედი ექსპორტიორი ეკონომიკური აგენტების რაოდენობაც. 5 ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტის საერთო წილი ბაზრის ექსპორტის დონეზე, შესასწავლილ პერიოდში, მერყეობს 53.3%-დან 64.8%-მდე (გრაფიკი 3;4):






დამატებით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცვალებადია ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტი და ამასთან ერთად, პრაქტიკულად ყოველწლიურად ცვალებადია ბაზარზე მოქმედი 5 ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტის შემადგენლობაც. აღნიშნული გარემოება, ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობრივი ზრდისა და კონცენტრაციის ინდექსის გათვალისწინებით, კონკურენტული გარემოს დადებითად შეფასების წინაპირობას იძლევა.

### 2.3 ექსპორტიორი ქვეყნების ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბაზრის ექსპორტის დონეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეფასდეს საექსპორტო ბაზრები და მათი დივერსიფიცირების საკითხი.

2020-2024 (2024 წლის 10 თვე) წლებში მოცვის ექსპორტი ძირითადად რუსეთის ფედერაციაში ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელმა საერთო ჯამური ექსპორტის საშუალოდ 90.7% შეადგინა (გრაფიკი 5):



ქვეყანაში მოყვანილი მოცვის ძირითადი ნაწილის ექსპორტი ხორციელდება რუსეთის ფედერაციაში. თუმცა, 2024 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შესამჩნევი კლების ტენდენციით ხასიათდება და შესაბამისად, მზარდია სხვა ქვეყნებში ექსპორტირებული მოცვის მოცულობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიაში ექსპორტირებული მოცვის რაოდენობა 2024 წლისათვის, რამაც საერთო ექსპორტის 10.6% შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი 2020-2023 წლებში საშუალოდ 1%-ს შეადგენდა. ევროპის ქვეყნებიდან, მოცვის ექსპორტი ასევე ხორციელდება ნიდერლანდებსა და პოლონეთშიც.

## 2.4 შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზი მოიცავს ბაზრის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც სააგენტო იკვლევს: ბაზარზე შესვლის, გაფართოებისა და ბაზრიდან გასვლის ბარიერების არსებობას/არარსებობას პოტენციური კონკურენტებისათვის და მათი დაძლევის სიმარტივეს/სიძნელეს; ბარიერების გადალახვისათვის საჭირო შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს; პოტენციური მიმწოდებლების ფაქტობრივ შესაძლებლობას გახდნენ მოცემული ბაზრის მონაწილეები; შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები.

განსახილველ ბაზართან მიმართებით არსებობს რამდენიმე ბარიერი, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს ექსპორტიორი კომპანია, კერძოდ:

- **ტარიფები და იმპორტის გადასახადები:** ზოგიერთი ქვეყანა იმპორტირებულ მოცვზე აწესებს ტარიფებს ან იმპორტის გადასახადებს, რაც პროდუქტს ხდის უფრო ძვირს მომხმარებლებისთვის და პოტენციურად ნაკლებად კონკურენტუნარიანს ბაზარზე;
- **ფიტოსანიტარული რეგულაციები:** რეგულაციები მოქმედებს ახალი ხილის, მათ შორის მოცვის იმპორტთან დაკავშირებით, მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ექსპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი პროდუქცია აკმაყოფილებდეს დადგენილ რეგულაციებს, რაც ხშირად შესაძლოა მოიცავდეს ინსპექტირებისა და სერტიფიცირების პროცესებს;
- **ხარისხის სტანდარტები:** იმპორტიორ ქვეყნებს ხშირად აქვთ ხარისხის სპეციფიკური სტანდარტები, რომლებსაც მოცვი უნდა აკმაყოფილებდეს ზომის, გემოსა და ქიმიური ნარჩენების დონის მიხედვით. ამ სტანდარტების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს იმპორტის უარყოფა ან შეზღუდვა;
- **სეზონურობა:** მოცვი სეზონური ხილია და ექსპორტიორებისათვის შესაძლოა გამოწვევა იყოს მთელი წლის განმავლობაში პროდუქტზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება;
- **ტრანსპორტი და ლოგისტიკა:** მოცვის ხარისხისა და ახლებური მდგომარეობის შენარჩუნება დიდ დისტანციებზე ტრანსპორტირებისას შეიძლება იყოს რთული. სათანადო შეფუთვა, ტემპერატურის კონტროლი და ეფექტური ლოგისტიკა გადამწყვეტია პროდუქტის კარგ მდგომარეობაში მიტანის უზრუნველსაყოფად;
- **ბაზარზე დაშვების შეზღუდვები:** ზოგიერთი ქვეყანა აწესებს არასატარიფო ბარიერებს, როგორცაა კვოტები, ლიცენზირების მოთხოვნები ან ტექნიკური რეგულაციები, რამაც შეიძლება შეზღუდოს ბაზარზე წვდომა მოცვის ექსპორტიორებისთვის;
- **ვალუტის რყევები:** ვალუტის კურსის მერყეობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპორტირებული მოცვის კონკურენტუნარიანობაზე უცხოურ ბაზრებზე მათ ფასებზე ზემოქმედებით.<sup>7</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მოცვის ექსპორტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს კონკრეტულ ბარიერებთან და გამოწვევებთან, სტატისტიკური მონაცემების, კერძოდ, ყოველწლიურად მოცვის ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი ზრდის გათვალისწინებით, სააგენტოს შეფასებით, არსებული ბარიერები არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ბაზარზე ახალი კომპანიების შესვლის მიმართულებით.

---

<sup>7</sup> [Blueberries \(blueberry.org\)](http://Blueberries (blueberry.org))

## დასკვნა

მოცვის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი მოიცავს ბაზრის მრავალმხრივ შეფასებას. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა მოცვის შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი ჩარჩოს განსაზღვრა; ჩატარდა შესაბამისი ბაზრის მრავალმხრივი რაოდენობრივი ანალიზი იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა ბაზარზე დომინანტური ან/და ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა, ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები ან/და კონკურენციის შემზღვეველი სხვა რაიმე ფაქტორების არსებობის რისკი.

### განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა შემდეგი:

1. 2020-2024 წლებში (2024 წლის 10 თვე), ქვეყნიდან ექსპორტირებული მოცვის რაოდენობრივი, ასევე ღირებულებითი მაჩვენებელი მზარდია. რაოდენობრივი კუთხით, 2024 წლის 10 თვის მონაცემებით, ქვეყნიდან ექსპორტირებულია ~660%-ით მეტი მოცვი, ვიდრე 2020 წელს. ღირებულებით ნაწილში კი ზრდამ შეადგინდა 595%. ამასთან, ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია ყოველ მომდევნო წელს (გრაფიკი 1;2);
2. 2020-2022 წლებში შესაბამისი ბაზრის ექსპორტის დონე დაბალკონცენტრირებულია, ხოლო 2023-2024 წლებში ინდექსი მხოლოდ მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ ზღვარს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ბაზრის ექსპორტის დონე არ არის კონცენტრირებული კომპანიების მცირე რაოდენობის დონეზე, რაც დადებით ფაქტორს წარმოადგენს ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების კუთხით;
3. ბაზრის ექსპორტის დონეზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა მზარდია. პრაქტიკულად ყოველწლიურად ცვალებადია ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტი, ასევე, ცვალებადია ბაზარზე მოქმედი 5 ყველაზე მსხვილი ეკონომიკურის აგენტის შემადგენლობაც;
4. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის დადასტურებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით;
5. დადებით ფაქტორად ვერ შეფასდება ექსპორტის ბაზრის მაღალი დამოკიდებულება კონკრეტულ ქვეყანაზე. თუმცა, ამ მიმართულებით შესამჩნევია დადებითი ტენდენცია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების თვალსაზრისით - მზარდია ევროპაში ექსპორტირებული მოცვის რაოდენობა (გრაფიკი 5).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დეტალური ანალიზისა და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მოცვის შესაბამისი ბაზრის ექსპორტის დონეზე არ გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის

დარღვევის რისკები. შესაბამისად, არ არსებობს განგრძობითი დაკვირვების წარმოების მიზნით მონიტორინგის გაგრძელების საფუძველი. კერძოდ, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსისა და მისი ცვლილების, მსხვილი კომპანიების წილობრივი გადანაწილებისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით მონიტორინგის პროცესში გამოკვლეული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, **სააგენტო 2020-2024 წლებში (ოქტომბრის ჩათვლით), შესაბამის ბაზარზე კონკურენტულ გარემოს დადებითად აფასებს.**